

**ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის  
შემუშავების წესი**

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დოკუმენტია, რომლის საშუალებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტის სწავლის პროცესი მორგებულად იმართება კონკრეტული მოდულისა თუ სასწავლო კურსის ფარგლებში. მასში განსაზღვრულია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და სწავლის შედეგები.

1. **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი** განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროებას კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების ან აკომოდირების შემთხვევაში.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის სწავლებისას გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სირთულე და გეგმა შედგება კონკრეტული პროგრამის ან მოდულის საფუძველზე.
3. დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულე.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა თავსებადი სწავლის შედეგების აღიარების და მიღწევის შესაძლებლობას მობილობის წესით ჩარიცხული, სტატუს ადდგენილი და ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანილი პროფესიული სტუდენტებისათვის.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც:
  - 5.1. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლის პროცესში ვერ ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;
  - 5.2. მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან;
  - 5.3. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.
6. მე-5 პუნქტის 5.1. ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
7. მე-5 პუნქტის 5.2. ქვეპუნქტის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დგება კომისია (დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი), რომელიც განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემქმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების

შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემქმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივ და გავლილი მოდულების აღიარების შესაძლებლობის საკითხს, მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარე ამზადებს სამსახურებრივ ბარათს მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და დაწესებულების ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის მიერ შემუშავებულ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების შეძენა.

8. მე-5 პუნქტის 5.3. ქვეპუნქტის შემთხვევაში (პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველის აღმოფხვრა), პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან, რა ეტაპზეც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. სტატუსადგენილი პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად, ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ათვისებულ სწავლის შედეგებს და ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით, შეიმუშავებს სასწავლო განრიგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად.
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს. შესაბამისად, კოლეჯი უფლებამოსილია ავტომატურად ჩაუთვალოს მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტს გავლილი მოდულები/სწავლის შედეგები.
10. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება კრედიტი. ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში კი, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიული სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ.
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტობის მიზნით, ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს მიმდინარე სასწავლო ჯგუფების პროფესიული სტუდენტების გადაყვანას ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით. ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანის შემთხვევაში კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ახალი ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში.
12. კოლეჯი უფლებამოსილია, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამისი კომისიის მიერ ჩატარებული გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე შეამოწმოს პირის პროფესიული განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები და დაადგინოს მათი თავსებადობა შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან. კომისიის დასკვნის საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად, ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს.

13. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუნარო/მეზღუდულ ქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.
14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადებს.